

ელვათა ცეცხლში იქედებოდა

მე გამოვაბი ჩემს ვენახს ცხენი,
ბევრი დავთელე გზები ტრიალი,
მე თავს მიხრიდნენ ქართლის ციხენი,
მატიანეში ნახეტიალნი.

□ აცარი აკი თავს დავიყარე;
მესალმებოდნენ მწვანე წნორები,
სამამულე რქას ცრემლი სდიოდა,
მე ხელს მიქნევდნენ ჩემი სწორები,
სუფრა გაშლილი ჰქონდათ იორთან.

მამათა სახლის ნაცარის სითბო,
რაც ვინაჩუქრე, სულში ღვიოდა;
თითქოს იმ ყრმობის სუმბულის სიტკბოს
ნაზი სურნელი მე მომდიოდა.

და რას ეძებდა სული მღვიძარი,
რატომ მტკიოდა გულის ფიცარი?═

თითქოს ვაზებმაც ფეხი აიდგეს,
დამდევებოდნენ უკან მტევნებითუ
სად მივდიოდი, ვისკენ, საითკენ,
რა მქონდა გულში დაუტევნელი?═

ჩამოვიშორე აკი მიჯნური,
მისი სიტკბო და მისი სიავეც,
ჩემი გულიდან გამოლნიჩბული
ცრემლების ხვავიც გავანიავე.--

დიდ ნანგრევების ჩამონაფშვენი
ნაცარი აკი თავს დავიყარე;
და სამშობლოში, რაიც კი შვენი
მშვენიეპებით, ხომ შევიყვარე!

იქნებ ძველ სევდას ვეთხოვებოდი,
იქნებ სამშობლოს ჩემი გულნებით?═
არ ვიცო: არა, რით ვიწვებოდი,
და რა წყურვილის ვიყავ მწყურნები?═

მხოლოდ ვხედავდი,
სივრცეში, იქით,
ელვათა ცეცხლში იჭედებოდა
იგი ბილიკიუ
და ქარიშხალი ყალფზე დგებოდაუ